„საფარი"
თბილისი, ქანთარიას ქ. 11ა
ტელ.: 032 2307603
www.sapari.ge

Sapari / საფარი

კანსულა ფაქტიანთვის
დაფიქრებულ

რა არის ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება?

ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება არის ქალებისა და გოგონების უფლებების დარღვევა, რაც სხვადასხვა კულტურებში ღრმად გამჯდარი ქალებსა და კაცებს შორის უთანასწორობის შედეგია. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება მოიცავს არასამედიცინო პროცედურებს, რომელიც მიზნად ისახავს ქალის გარე სასქესო ორგანოს ნაწილობრივ ან სრულ მოკვეთას და დაზიანებას.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება შეიძლება იყოს შემდეგი სახის: 1. clitoridectomy/კლიტორიდექტომია: კლიტორის (ქალის სასქესო ორგანოს პატარა, ყველაზე მგრძნობიარე ერექტილური ნაწილი) ნაწილობრივი ან სრული მოკვეთა ან დაზიანება;
2. ქალის გარე სასქესო ორგანოების მცირე და დიდი ბაგეების მოკვეთა;
3. Infibulation/ინფიბულაცია: საშოს დავიწროვება გაკერვის და მოკვეთის გზით;
4. სხვა ტიპის დასახიჩრებები, რომელიც მტკივნეული პროცედურაა და არ აქვს სამედიცინო მიზნები, მათ შორის, კლიტორის გაჭრა, ქსოვილის აფხეკა და მოწვა.

რატომ მიმართავენ ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრებას?

სხვადასხვა კულტურაში ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრებას შეიძლება სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს, თუმცა ზოგადად, ის ემყარება რწმენას, რომელიც მიზნად ისახავს გოგონებში და ქალებში სექსუალობის შეზღუდვას და მათგან „პატიოსანი", „წესიერი" და „მომწიფებული" ქალების შექმნას; ისეთი ქალების შექმნა, რომლებიც ნაკლებ „ზიანსა" და „პრობლემას" მოუტანენ კაცებს. მნიშვნელოვანია, რომ ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება მაღალი ღირებულების მქონე ტრადიციად ითვლება და ამიტომ ეს პრაქტიკა უხილავად და მუდმივად გრძელდება.

ქალების სასქესო ორგანოების დასახიჩრება უფლებების ისეთი დარღვევაა, რომელიც ქალების ხელით და მისი უახლოესი ნათესავების მიერ ხორციელდება. როგორც წესი, პროცესში მთელი საზოგადოებაა ჩართული და ჯგუფის ყველა წევრ გოგონაზე ხორციელდება. გამონაკლისები არ დაიშვება.

რამდენად გავრცელებულია ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება?

- 100-140 მილიონი გოგონა და ქალი ცხოვრობს დასახიჩრებული სასქესო ორგანოებით;
- წლიურად 3.3 მილიონი გოგონას უკეთებენ სასქესო ორგანოს დასახიჩრებას;
- გავრცელებულია აფრიკის 27 ქვეყანაში. მცირე მასშტაბით ეს პრაქტიკა გვხვდება კანადაში, ევროპაში, ახალ ზელანდიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ცენტრალურ/სამხრეთ ამერიკის მცირე ჯგუფებში.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები:

ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება იწვევს სხეულის ფუნქციების დაზიანებას. დასახიჩრება ტარდება გაუტკივარების გარეშე არასამედიცინო დაწესებულებებში. ნებისმიერი ტიპის დასახიჩრებას შეუძლია გამოიწვიოს მყისიერი სისხლდენა, მწვავე ტკივილი და წარმოადგენს ინფექციის მაღალ რისკს. აფრიკაში ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ მოგვიანებით ქალებს შეექმნათ პრობლემები მშობიარობის დროს, დასჭირდათ საკეისრო კვეთა ან გადაიტანეს მშობიარობის შემდგომი სისხლდენა. გარდა ამისა, ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი უფრო მაღალია იმ გოგონებში, რომლებსაც ჩაუტარდათ სასქესო ორგანოების დასახიჩრება.

ქალების სასქესო ორგანოების დასახიჩრებას თან ახლავს სექსუალური პრობლემები. ამ პროცედურის შემდეგ ქალები უფრო მეტად განიცდიან ტკივილსა და შიშს სქესობრივი კავშირის დროს, ვერ იღებენ სიამოვნებას და ორჯერ უფრო ნაკლებად აქვთ სექსუალური სურვილები, ვიდრე სხვა ქალებს.

სამედიცინო რისკების ცხრილი:

ჯანმრთელობის მყისიერი რისკები	ჯანმრთელობის გრძელვადიანი რისკები
• ტკივილი; • შოკი; • სისხლდენა; • სეფსისი; • შარდის გამოყოფის სიძნელე; • ინფექციები; • სიკვდილი; • ფსიქოლოგიური პრობლემები; • სასქესო ბაგეების შეწებება-შეხორცება.	• ქირურგიული ჩარევის საჭიროება; • საშარდე სისტემის და მენსტრუალური ციკლის პრობლემები; • მტკივნეული და დაბალი ხარისხის სქესობრივი კავშირი და ცხოვრება; • უნაყოფობა/უშვილობა; • ქრონიკული ტკივილი; • ინფექციები (კისტა); • კელოიდები (პრობლემური ნაწიბურები); • საშვილოსნოს ყელის ინფექციები • ფსიქოლოგიური შედეგები - სექსუალური კავშირის შიში, დეპრესია; • საშვილოსნოს ყელის კიბო.

ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება აკრძალულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133[2] მუხლით

1. რელიგიური, რიტუალური, ეთნიკური ან სხვა ტრადიციის გავლენით ან ამგვარი გავლენის გარეშე ქალის სასქესო ორგანოების მთლიანად ან ნაწილობრივ ამოკვეთა, ინფიბულაცია ან სხვაგვარი დასახიჩრება, ან ქალის იძულება ან დაყოლიება, ჩაიტაროს ამგვარი ოპერაცია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ა) ჯგუფურად; ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ; გ) არაერთგზის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

3. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ბროშურის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია კავშირი „საფარი“. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)